კოდიფიცირებული
(01.07.2016წ)

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 7 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №65

2010 წლის 14 ივნისი
ქ. ბათუმი

რსუ-ს აკადემიური საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ემუხლის1-ლი პუნქტის, რსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე შოთარუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი რსუ-ს აკადემიური საბჭოს ამ დადგენილების გამოცემამდე მოქმედი რეგლამენტი;

2. დამტკიცდეს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი **დანართი 1**-ის მიხედვით;

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი N1

შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს რეგლამენტი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1. აკადემიური საბჭოს რეგლამენტი განსაზღვრავს რსუ-ს აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების განხორციელების წესსა და პროცედურას.

1.2 სსიპ „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭო (შემდგომში – აკადემიური საბჭო) არის რსუ-ს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომლის წევრებიც აირჩევიან ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის ყველა წევრისა და ფაკულტეტის საბჭოს წევრ სტუდენტთა თვითმმართველობის წარმომადგენლების მიერ პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

1.3. აკადემიურ საბჭოს აქვს ბეჭედი და ბლანკი წარწერით: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო“.

მუხლი 2. აკადემიური საბჭოს შემადგენლობა

2.1. აკადემიური საბჭოს შემადგენლობაში შედის რექტორი - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს წევრები.

2.2. აკადემიურ საბჭოში თითოეულ ფაკულტეტს ჰყავს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენელი. მათი რაოდენობა და აკადემიური საბჭოს საქმიანობაში რსუ-ს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების წარმომადგენელთა მონაწილეობის წესი განისაზღვრება რსუ-ს წესდებით.

2.3. აკადემიური საბჭო აირჩევა 4 წლის ვადით. აკადემიური საბჭოს წევრად აირჩევა რსუ-ს სრული ან ასოცირებული პროფესორი. აკადემიური საბჭოს წევრად პირი შეიძლება არჩეული ქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ.

2.4. აკადემიური საბჭოს პირველ სხდომაზე წილისყრით ვლინდება აკადემიური საბჭოს წევრების ერთი მესამედი, რომელთა უფლებამოსილების ვადა იქნება 2 წელი. ამ ვადის გასვლის შემდეგ აკადემიური საბჭო ექვემდებარება განახლებას.

2.5. აკადემიური საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა) პირადი სურვილი;
ბ) მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
გ) სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარება;
დ) გარდაცვალება;

ე) აკადემიური საბჭოს სხდომებზე არასაპატიო მიზეზით სისტემატიურად გამოუცხადებლობა;
ვ) რსუ-ს შესაბამისი აკადემიური თანამდებობიდან განთავისუფლება;
ზ) სხვაუმაღლესსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიაკადემიურიანადმინისტრაციული თანამდებობისდაკავება;
თ) კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

2.6. რექტორს აკადემიური საბჭოს წევრობა უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში უწყდება;

მუხლი 3. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება

3.1. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, განცხადება, წარდგინება, რომელსაც ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

3.2. აკადემიური საბჭო „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და რსუ-ს წესდების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და ამტკიცებს უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიულ გეგმას;

ბ)ფაკულტეტებისა და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით პროგრამებს, ხოლო რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით ამტკიცებს საგანმანათლებლო დასამეცნიერო–კვლევითი მუშაობის შეფასები სწესს.“;

გ) ხელსუწყობს უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციას, სასწავლოგეგმებისა და საგანმანათლებლო პროგრამების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის თანამშრომლობის, მობილობისა და ინტეგრირებული სწავლების, სამეცნიერო კვლევების პროგრამების შექმნას;

დ) თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს – რექტორს;

ე) სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის კონკურსის საფუძველზე შერჩეულ კანდიდატურას ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას;

ვ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის მოტივირებულ წინადადებას. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის უფლებამოსილების შეწყვეტიდან ერთი თვის ვადაში წარმომადგენლობით საბჭოს წარუდგენს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ახალ კანდიდატურას;

ზ)სასწავლო წლის დასაწყისში ამტკიცებს კოეფიციენტებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;

თ) მონაწილეობს რსუ-სწესდების, სტრუქტურული ერთეულების დებულებების, ბიუჯეტისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წლიური ანგარიშის წარმომადგენლობით საბჭოში განხილვისას;

ი) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დადგენილი წესით ამტკიცებს სამაგისტრო გამოცდის კოეფიციენტებს სამაგისტრო გამოცდებისთვის, აგრეთვე ფაკულტეტებზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ფაკულტეტების საბჭოების წარდგინებით;
კ)ადგენსსხვააკრედიტებულსაგანმანათლებლოდაწესებულებაშიმიღებულიუმაღლეს იდასახელობოგანათლებისკრედიტებისაღიარებისწესს;

ლ)ფაკულტეტის საბჭოს ან/და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარდგინებით ამტკიცებს სადისერტაციო საბჭოს დებულებას;

მ) წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს რსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სხელმძღვანელის კანდიდატურას;

ნ) აკადემიური საბჭო სიითი შემადგენლობის უმრავლესობის მოტივირებული წინადადებით მიმართავს წარმომადგენლობით საბჭოს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ;

ო) ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს;

პ) წლიურ ანგარიშსწარუდგენსწარმომადგენლობითსაბჭოს;

ჟ) ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე გადაწყვეტილებას იღებს საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების შესახებ;

რ) სრული შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს და ათავისუფლებს რსუ-სბიბლიოთეკის/ბიბლიოთეკების ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს;

ს)რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ნიშნავს რექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

ტ) თავისი შემადგენლობიდან ირჩევს აკადემიური საბჭოს მდივანს;

უ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას ფაკულტეტების შექმნის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის შესახებ და წარუდგენს დასამტკიცებლად წარმომადგენლობით საბჭოს;

ფ) პერიოდულად ისმენს რსუ-ს სტრუქტურული ერთეულებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის ანგარიშს;

ქ) ფაკულტეტის საბჭოების წარდგინებით განსაზღვრავს ფაკულტეტების აკადემიური პერსონალის საშტატო ნუსხას;

ღ) იღებს გადაწყვეტილებას რსუ-ს მიერ სამეწარმეო (კომერციული) დაარასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნების შესახებ. მიღებულ გადაწყვეტილებას დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

ყ) სიითი შემადგენლობის ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას რსუ-ს აკადემიურ თანამდებობაზე 65 წელს მიღწეული პირის არჩევის შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს რსუ-ს ფაკულტეტისათვის ან ფაკულტეტის ცალკეული მიმართულებისათვის.

შ) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ამტკიცებს აკადემიური საბჭოს რეგლამენტს, ასევე ახორციელებს რსუ-ს წესდებით, შინაგანაწესითა და საქართველოს კანონმდებლობით მასზე მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას;

3.3. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, რექტორის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, რექტორისათვის დაკისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების ან/და რექტორისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების საფუძვლით, აკადემიური საბჭოს წევრების არანაკლებ 1/3-ის მოთხოვნით განიხილოს რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი. გადაწყვეტილება რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თაობაზე მიიღება ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. რექტორი ამ პუნქტით გათვალისწინებულ კენჭისყრებში არ მონაწილეობს. ამ საკითხებზე მიღებული გადაწყვეტილებებისგასაჩივრება არ იწვევს სადავო აქტის მოქმედების შეჩერებას.

მუხლი 4. აკადემიური საბჭოს მუშაობის წესი

4.1. აკადემიურ საბჭოს თავმჯდომარეობს შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

4.2. რექტორის არყოფნის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობს აკადემიური საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რექტორის დავალებით ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

4.3. აკადემიური საბჭოს სხდომა მოიწვევა რექტორის ინიციატივით ან აკადემიური საბჭოს წევრების 1/3-ის მიერ. აკადემიური საბჭოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ განაცხადი, დადგენილების პროექტთან ერთად, როგორც წესი, აკადემიური საბჭოს სამდივნოში უნდა შევიდეს სხდომის გამართვამდე არაუგვიანესერთი კვირისა. აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსი აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით სხდომის დღის წესრიგის პროექტს (დადგენილებების პროექტებთან ერთად) დაუგზავნის აკადემიური საბჭოს წევრებს, რომელთაც შეუძლიათ ორი დღის ვადაში დღის წესრიგის პროექტში დამატებით შეიტანონ განსახილველი საკითხები. აკადემიური საბჭოს სხდომის დღის წესრიგის საბოლოო პროექტი სამი დღით ადრე ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე და სტრუქტურული ერთეულების (კანცელარიასთან, ფაკულტეტების და დამოუკიდებელი კვლევითი ერთეულების) საინფორმაციო დაფებზე.(შეტანილია ცვლილება 2016 წლის 27 მაისის N31 დადგენილებით).

4.4. აკადემიური საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

4.5. აკადემიური საბჭოს სხდომა არის საჯარო. საბჭოს სხდომაზე მონაწილეობის მისაღებად შესაძლებელია მოწვეული იქნან პირები, რომლებიც დაკავშირებული არიან სხდომის დღის წესრიგის საკითხთან. აკადემიური საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით შესაძლებელია აკადემიური საბჭოს სხდომა ან მისი გარკვეული ნაწილი (რომელიმე საკითხის განხილვისას) დაიხუროს ან ჩატარდეს ფარული კენჭისყრა. საბჭოს სხდომა მიმდინარეობს არაუმეტეს სამი საათისა. სხდომის მიმდინარეობა შეიძლება გაგრძელდეს დამსწრე წევრთა 2/3-ის გადაწყვეტილებით. (შეტანილია ცვლილება 2016 წლის 27 მაისის N31 დადგენილებით).

4.6. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს შეუძლია სხდომის მიმდინარეობა გარკვეული დროით შეაჩეროს ან საერთოდ შეწყვიტოს, თუ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები აქტუალური აღარ არის ან ამოწურულია.

4.7. აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე სხდომის დაწყებისთანავე წარადგენს დღის წესრიგს, რომელსაც საბჭო ამტკიცებს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით.
4.8. კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია მიიღოს დადგენილება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომის მონაწილე საბჭოს წევრთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის 1/3-სა. ხმების გაყოფისას თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტია;
4.9. მომხსენებელთა გამოსვლის (პროექტის წარმოდგენის) დრო არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს, ხოლო საბჭოს წევრის მიერ მოსაზრების გამოთქმა 5 წუთს. ერთი და იმავე საკითხზე მოსაზრება საბჭოს წევრმა შეიძლება გამოთქვას მხოლოდ ორჯერ. ეს ვადები შეიძლება შეიცვალოს საბჭოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით.
4.10. კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევის გარდა, აკადემიური საბჭოს სხდომაზე კენჭისყრა არის ღია. (თანხმობა დასტურდება ხელის აწევით). კენჭისყრის მიმდინარეობისას იკრძალება აკადემიური საბჭოს წევრის მიერ სხდომის დარბაზის დატოვება.
4.11. აკადემიური საბჭოს თითოეული სხდომის შესახებ აკადემიური საბჭოს მდივანი ადგენს ოქმს. სხდომის მიმდინარეობა ასევე იწერება აუდიოფირზე (ჩანაწერი ინახება სამდივნოს მიერ). (შეტანილია ცვლილება 2016 წლის 28 მარტის N20 დადგენილებით).
4.12. ოქმი მოიცავს სხდომის თარიღს, დამსწრე საბჭოს წევრებისა და მოწვეულ პირთა სიას, დღის წესრიგს, გამომსვლელთა ტექსტსა და მიღებულ გადაწყვეტილებებს. გამომსვლელთა მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა დაერთვის ოქმს.
4.13. ოქმს ხელს აწერს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე და აკადემიური საბჭოს მდივანი. ოქმის ბოლო გვერდზე დაისმება აკადემიური საბჭოს ბეჭედი.
4.14. აკადემიური საბჭოს სხდომაზე მიღებულ დადგენილება ქვეყნდება ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ხოლო ბსუ-ს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში, გაზეთში ,,ბათუმის უნივერსიტეტი“ - აკადემიური საბჭოს შესაბამისი დადგენილებით განსაზღვრულ შემთხვევებში.(შეტანილია დამატება 2016 წლის 27 მაისის N31 დადგენილებით).

მუხლი 5. აკადემიური საბჭოს სამდივნო

5.1. აკადემიური საბჭოს საქმიანობის ორგანიზაციულ, დოკუმენტურ და საინფორმაციო მომსახურების უზრუნველყოფას ახორციელებს აკადემიური საბჭოს სამდივნო.
5.2. აკადემიური საბჭოს სამდივნო, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარესთან შეთანხმებით, ადგენს სხდომის დღის წესრიგის პროექტს, რომელსაც ამ რეგლამენტის მე-4 მუხლის შესაბამისად აწვდის ბსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრებსა და ორგანიზებას უწევს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე მის გამოქვეყნებას. (შეტანილია ცვლილება 2016 წლის 27 მაისის N31 დადგენილებით).
5.3. აკადემიური საბჭოს სამდივნო ვალდებულია უზრუნველყოს აკადემიური საბჭოს აქტების მიწოდება რსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის.

მუხლი 6. რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

აკადემიური საბჭოს რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიური საბჭოს დადგენილებით.